დამტკიცებულია
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის
რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები

2025

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის (შემდგომში - აკადემია) პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები (შემდგომში - წესი) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, საქართველოს კანონმდებლობისა და განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე.

1.2. წინამდებარე წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტების/მსმენლებისა და პერსონალის პირველადი გადაუდებელი ფდახმარების უზრუნველყოფის პროცედურებს.

1.3. აკადემიაში პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველსაყოფად დანიშნულია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი.

1.4. აკადემიაში თვალსაჩინო ადგილზე გამოფენილია პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის საკონტაქტო ნომრები (112).

1.5. აკადემიის თანამშრომლებს პერიოდულად უტარდებათ პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგები.

1.6. პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია რექტორს მიმართოს საჭირო ინვენტარისა და დახმარებისათვის აუცილებელი საშუალებების შესყიდვის მოთხოვნით (მაგ.: წნევის საზომი აპარატი, თერმომეტრი, ჰიგიენური საშუალებები და სხვა).

1.7. პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს მედიკამენტების ვარგისიანობის, ხარისხისა და გამოყენების პირობების შემოწმებას. ამ მიზნით, მუდმივად მიმდინარეობს არსებული და შესაძენი მედიკამენტების ვადის გადამოწმება. გაცემული მედიკამენტები აღირიცხება ჟურნალში.

1.8. პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გაუწიოს დახმარება აკადემიაში მყოფ პირებს.

1.9. პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს და აკადემიის პერსონალს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს (სამუშაო საათებში) მიმართონ პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელ პირს და მიიღონ შესაბამისი კონსულტაცია ან დახმარება. ჯანმრთელობის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე, შესაძლებელია, გადაუდებელი დახმარების საჭიროების მქონე პირის ადგილზე გასინჯვა.

1.10. პირველადი გასინჯვის საფუძველზე, პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია:

ა) თავად აღმოუჩინოს პირს პირველადი გადაუდებელი დახმარება;

ბ) გამოიძახოს გადაუდებელი სამედიცინო დამხარება (112) და ფაქტის შესახებ მოახდინოს სტუდენტის/მსმენელის ოჯახის წევრის ინფორმირება.

გ) პრევენციის მიზნით, გასცეს ინფორმაცია ინფექციური თუ ვირუსული დაავადების გავრცელების შესახებ ან/და მითითებები მათი გავრცელების თავიდან აცილების პირველადი ღონისძიებების თაობაზე;

დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოს კონფიდენციალურობის დაცვა მომსახურების მიმღები პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

1.11. პირველად (გადაუდებელ) დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი აწარმოებს — ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალს.

1.12. აკადემია იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებების ვარგისიანობა; ამისათვის ხორციელდება არსებული და შესაძენი რესურსების ვადის რეგულარული შემოწმება და მათი გამოყენება ხდება მხოლოდ ვარგისიანობის დადასტურების შემდეგ.

მუხლი 2. წესის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

2.1. .,,პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები (წესი)“ მტკიცდება რექტორის ბრძანებით.
2.2. წინამდებარე წესის სამართლებრივი საფუძვლებია:

ა) „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;

ბ) „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

გ) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;

დ) „საქართველოს შრომის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი;

2.2. წესში ცვლილებები შეიტანება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლების ცვლილების ან იდენტიფიცირებული საჭიროებების შემთხვევაში.
2.3. წესის გეგმიური გადახედვა ხორციელდება წელიწადში ერთხელ, ან საჭიროების დადგომისთანავე.
2.4. არსებული დებულება ძალას კარგავს ახალი რედაქციის დამტკიცებისთანავე.

მუხლი 3. პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფა

3.1. თუ სიტუაცია სცილდება პირველად გადაუდებელდახმარებაზე პასუხისმგებელი პირის კომპეტენციის ფარგლებს, სავალდებულოა, დაუყოვნებლივ დარეკვა 112-ზე, რათა სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე პირმა დროულად მიიღოს შესაბამისი სამედიცინო მომსახურება.

3.2. 112-ზე დარეკვა შესაძლებელია, ნებისმიერი სატელეფონო მოწყობილობიდან, წინასწარი კოდის გამოყენების გარეშე. შეტყობინების გამგზავნი ვალდებულია, ოპერატორს მიაწოდოს სრული ინფორმაცია: ტელეფონის ნომერი, ზუსტი მისამართი, შემთხვევის აღწერა, საჭიროების შემთხვევაში — პოლიციის, სახანძრო ან დამატებითი სამედიცინო დახმარების საჭიროების შესახებ, და დაიცვას ოპერატორის მითითებები.
3.3. სასწრაფო სამედიცინო დახმარების მოსვლამდე პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა გაუწიოს პირველადი დახმარება დაშავებულს/ავადმყოფს მანამ, სანამ:

- არ გამოვლინდება აშკარა სიცოცხლის ნიშნები (მაგ.: სუნთქვა);
- ადგილზე არ მოვა სასწრაფო დახმარების პერსონალი;
- პირველად გადაუდებელდახმარებაზე პასუხისმგებელი პირი არ აღმოჩნდება ფიზიკური უძლურების მდგომარეობაში, რომელიც ხელს შეუშლის საქმიანობის გაგრძელებაში;

3.4. სასწრაფო სამედიცინო დახმარების დაუყოვნებლივი გამოძახება სავალდებულოა, თუ სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე პირი :

- არის უგონოდ;
- აქვს სუნთქვის პრობლემები აქვს (არ სუნთქავს ან აღენიშნება გახშირებული სუნთქვა);
- უჩივის მკერდის ან მუცლის ტკივილს;
- აქვს ძლიერი სისხლდენა ან ღებინება;
- სავარაუდოდ მოწამლულია (მედიკამენტებით, ქიმიური ნივთიერებით, გაზით);
- სავარაუდოა ან აშკარაა თავის, კისრის ან ხერხემლის დაზიანება;

ასევე — ხანძრის, აფეთქების ან სხვა საგანგებო შემთხვევის დროს.

მუხლი 4. გადაუდებელი დახმარების გაწევისას რისკების პრევენცია

4.1. დახმარების აღმოჩენამდე პირველად (გადაუდებელ) დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი უნდა დარწმუნდეს, რომ შემთხვევის ადგილზე არ არსებობს საფრთხე, რაც ხელს შეუშლის დახმარების აღმოჩენაში.

4.2. დახმარების აღმოჩენამდე უნდა შეფასდეს,

- არის თუ არა გარემო უსაფრთხოა;
- რა შეიძლება გაკეთდეს საფრთხის არსებობის შემთხვევაში;
- სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე პირის მდგომარეობა; არის თუ არა ადგილზე სხვა პირი, ვისაც შეუძლია დახმარების აღმოჩენა.

4.2. დახმარების გაწევისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები:

- დაუშვებელია სისხლთან და სითხეებთან უშუალო კონტაქტი;
- გამოიყენებულ უნდა იქნეს დამცავი ხელთათმანები და სასუნთქი გზების დამცავი საშუალებები;
- ბინტით უნდა იქნეს დაფარული საკუთარი ჭრილობები/ნაკაწრები;
- დაცული უნდა იქნეს ჰიგიენური ნორმები

მუხლი 5. პირველადი დახმარების ყუთი

5.1. პირველადი დახმარების ყუთი განთავსებულია აკადემიის შენობაში გამოყოფილ ადგილას შესაბამისი აღნიშვნით.

5.2. პირველადი დახმარების ყუთი შეიცავს პირველადი დახმარებისათვის აუცილებელ ყველა საშუალებას;

5.3. პირველად (გადაუდებელ) დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი თვეში ერთხელ ამოწმებს ყუთის შემცველობას და საჭროების შემთხვევაში, ავსებს მას გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო საშუალებებით.

მუხლი 6. წესის საჯაროობა და გაცნობის ღონისძიებები

6.1. აკადემია უზრუნველყოფს წინამდებარე წესის საჯაროდ ხელმისაწვდომობას — აკადემიის ვებგვერდზე;

6.2. წესის მოთხოვნების გაცნობის მიზნით, ტარდება რეგულარული საინფორმაციო შეხვედრები და ინსტრუქტაჟები.